როგორ ვასწავლოთ სიტყვის „დანახვა“?

მოამზადა მაია ინასარიძემ

რესურსი გთავაზობთ მეთოდურ რეკომენდაციებს, თუ როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს ტექსტში სიტყვის „დანახვა“ და სიტყვის „გამოზრდა“ , ანუ როგორ განვუვითაროთ მათ წარმოსახვითი და შემოქმედებითი უნარები მხატვრულ სახეებზე მიზანმიმართული მუშაობის გზით.

მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ ყურადღებით დაკვირვება სიტყვაზე კონტექსტში და *მის გარეშე.* ამისათვის მასწავლებელმა ხშირად უნდა „შეახვედროს“ მოწაფე სიტყვასთან. ეს იქნება ხან უცნობ სიტყვებზე მუშაობა ტექსტის გასაგებად, ხანაც - ზოგადად, გასაგებ, მაგრამ მოწაფეთათვის მოულოდნელი კუთხით დანახულ სიტყვებზე, რაც შეგვიყვანს პოეტურ კონტექსტში უფრო ღრმად, ვიდრე ეს ხდება სიტყვის ჩვეულებრივი გამოყენებისას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასაწყისშივე (მე-5 კლასი) დავანახვოთ მოსწავლეებს, რომ ენაში აისახება სხვადასხვა დამოკიდებულება დროისა და სივრცის მიმართ, რომ ადამიანისა და ენის ცხოვრება მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. ამის მაგალითად შესაძლოა მოვიყვანოთ ქართული სიტყვა წუთისოფელი, საწუთრო, რომელშიც იხატება ქართველის დამოკიდებულება ამქვეყნიური ცხოვრებისადმი. რადგან ეს წუთია, მოკლეა, არამუდმივია, ლოგიკურია, რომ უნდა არსებობდეს მარადიულიც (რადგან სამყარო დაპირისპირებათა ერთიანობაზე დგას: დღე-ღამე, ცა-დედამიწა, სიკეთე-ბოროტება, ტყუილი-მართალი...).

მეორე გაკვეთილი მივუძღვნათ ლიტერატურას, როგორც სიტყვის ხელოვნებას, რაც მოგვცემს საშუალებას, კიდევ ერთხელ მივაქცევინოთ ყურადღება მოსწავლეებს იმაზე, როგორ ხორციელდება ეს კავშირი.

საუბარს ვიწყებთ იმით, თუ რა არის მასალა ხელოვნების სხვადასხვა დარგისათვის _ ფერწერაში, სკულპტურაში, მუსიკაში. რისგან ქმნის მხატვარი ნაწარმოებს? რასაკვირველია, ისინი გვიპასუხებენ, რომ ფერწერისას მასალა ფუნჯი და საღებავია, ქანდაკებისა კი - მარმარილო და ქვა. მაგრამ ჩვენ ვთხოვთ

დაფიქრდნენ იმაზე, თუ როგორ წარმოიშობა სახე (ხატი). ანუ, ვთქვათ, ვარსკვლავიანი ღამე შეიძლება დაიხატოს ზეთის საღებავებითაც და ფეხსაცმლის საცხითა და კბილის პასტითაც. მაგრამ რა ქმნის ღამის სახეს, სურათს? ასე მივდივართ ჩვენ ხაზსა და ფერთან, როგორც გამომსახველობითი ხელოვნების მასალასთან, ამის შემდეგ ისინი ხვდებიან, რომ სკულპტორი მუშაობს მთლიან ფორმაზე, მუსიკოსი კი _ ბგერაზე. მაგრამ რა არის მწერლის მასალა? ახლა თვითონ მოსწავლეები ხვდებიან, რომ ლიტერატურის მასალა სიტყვაა და არა - ქაღალდი, კალამი ან კომპიუტერი.

ამგვარად ვუხსნით მათ, რომ ლიტერატურა - ესაა სიტყვის ხელოვნება, იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ენასთან. ვესაუბრებით მოსწავლეებს, რამდენად ბევრი და მრავალფეროვანი ენაა დედამიწაზე. შესაძლებელია ენათა განსხვავებულობის ნიმუშებიც მოვიყვანოთ. მაგალითად, გრამატიკული თვალსაზრისით „ვინ?“ კითხვა ქართულში მხოლოდ ადამიანს დაესმის, სხვა ენებში კი ყველა სულიერი უპასუხებს ამ კითხვაზე.

მოწაფეებს ვუხსნით, რომ ლექსიკური თვალსაზრისით შეუძლებელია სრული თანხვედრა იყოს ენებს შორის, ანუ საგანს სახვადასხვა ენაში ერთი სახელი ჰქონდეს.

საინტერესოა, როგორ აისახება ლექსიკასა და გრამატიკაში ადამიანის ცხოვრება. მაგალითად, ქართულში წვიმას ცხრა სახელი აქვს, ზოგიერთ ენაში სხვდასხვა სიტყვით აღინიშნება თოვლი ხეზე, სახურავზე, მიწაზე და ა.შ. შეძლებს კი მეხუთეკლასელი მიხვდეს, რატომ?

ნებისმიერი ენის შესწავლა იწყება სასაუბრო კლიშეებით: მისალმება-დამშვიდობების, გაცნობის ფორმულებით და ა.შ. შეიძლება დავაკვირვოთ მოსწავლეები, რატომ უსურვებენ გამარჯვებას ქართველები მისალმებისას ერთმანეთს? როგორი ცხოვრება განაპირობებდა მისალმების ამგვარ ფორმას? შეიძლება ვუთხრათ ისიც, რომ მთაში მისალმების ფორმები ასეთია:

დამხვდური: მოხვედი მშვიდობით!

მიმსვლელი: თქვენც მშვიდობით დამიხვდით!

აი, ამგვარ, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ მარტივ სიტყვებშიც კი, რომლებსაც მნიშვნელობას არც კი ანიჭებ, იხატება სამყაროს ის აღქმა და ურთიერთობები, რომლებიც ერის ცხოვრებაში ჩამოყალიბდა.

მეტად მნიშვნელოვანია გამოვავლინოთ, მოსწავლეთა ცნობიერებაში რა ასოცოაციურ ველში არსებობს სიტყვა, ასევე განსაზღვრებათა (ზედსართავების, ეპითეტების) შერჩევა, მათი მნიშვნელობის შემოფარგვლა. მაგალითად, სიტყვა დარდი და მისი სინონიმები: ნაღველი, სევდა, წუხილი, მოწყენა... დავანახვოთ მათ შორის ნიუანსური განხვავებები, დაახასიათონ თითოეული სიტყვა, რა კონტექსტში გამოიყენებენ მათ და ა.შ.

ამგვარი მუშაობა ორ მიზანს ემსახურება: ლექსიკური მარაგის გამდიდრებასა და სიტყვისადმი ემოციური დამოკიდებულების აღზრდას. სიტყვისადმი შერჩევითი დამოკიდებულება ხომ (თუნდაც მხოლოდ ჟღერადობის მიხედვით საყვარელი და საძულველი სიტყვების შერჩევა) ენობრივი შესაძლებლობების მაჩვენებელია.

სიტყვისადმი ემოციური დამოკიდებულების სტიმულირება შესაძლებელია იმგვარი დავალებებით, როგორებიცაა:

განსაზღვრეთ:

- რა ფერისაა სიტყვა?
- რა მასალისაგან შეიძლება ის, რისგანაა იგი შექმნილი (შალი, ბროლი, სპილენძი, ვერცხლი..)
- როგორი შრიფტს შეურჩევდი მას?
- რას ჰგავს სიტყვის ჟღერადობა, როგორ გახმოვანდება იგი უკეთესად?
- როგორი ხასიათისაა იგი, როგორი ტემპერამენტის? რომელი ცოცხალი არსების სახით წარმოიდგენ მას?
- როგორი სუნი, გემო აქვს სიტყვას?

შეიძლება შევთავაზოთ მოსწავლეებს სიტყვის დახატვა, მისი წამღერება, ცეკვა, პანტომიმით მისი გამოსახვა.

როგორ ვასწავლოთ სიტყვის „გამოზრდა“?

ლიტერატურაში სიტყვისთვის ყურადღების მიქცევა ჩვეულებრივი საქმიანობა მოსწავლისთვის მხოლოდ მაშინ გახდება, როდესაც ის ისწავლის იქცეს შემოქმედად. ამ თვალსაზრისით საინტერესოა კონტექსტის გარეშე მუშაობა სიტყვებზე, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა შეადარონ სხვა სიტყვებს

(სინონიმურს და ანტონიმურს), შემდეგ კი შექმნან საკუთარი ტექსტი, რომელშიც ყველა სიტყვა კონტექსტში საკუთარ „როლს ითამაშებს“.

აი, მაგალითად, სიტყვაზე მუშაობის ამგვარი გაკვეთილი:

- მოწაფეებს დაფაზე ჩამოვუწერთ თემატურად ახლობელ რამდენიმე სიტყვას:

მოგზაური

გამვლელი

ქვეითი

მეგზური

მაწანწალა

- თავდაპირველად განვიხილავთ, ვისაუბრებთ მოსწავლეებთან ერთად, რითი განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან; მათ წამოშობაზე (ეტიმოლოგია) გავამახვილებთ ყურადღებას, მათ სტილურ შეფერილობაზე, გადატანითი მნიშვნელობით მათ შესაძლო გამოყენებაზე.
- შესაძლებელია დამატებით მასალად მხატვრული ტექსტებიდან ნაწყვეტების მოყვანა, რომლებშიც ამ სიტყვებს სხვადასხვა ელფერი ექნება (ტექსტები მოსწავლეთა ასაკის მიხედვით უნდა შეირჩეს).
- შემდეგ ვთავაზობთ მოსწავლეებს, ამ სიტყვების გამოყენებით შეადგინონ გავრცობილი წინადადებები, სადაც მათი მნიშვნელობა გამოჩნდება.
- მუშაობის შემდგომი ეტაპია ასოციაციების შერჩევა, ასევე ჟღერადობით მსგავსი სიტყვების მოძებნა (იწერება დაფაზე), შემდგომ - ეპითეტების შერჩევა (იწერება დაფაზე).

ამგვარად, მოსწავლეები აგროვებენ მასალას, რაც გამოადგებათ მათ შემოქმედებითი დავალებისთვის - შექმნან ტექსტი ამ სიტყვების (ერთის ან რამდენიმეს) გამოყენებით.

ასე ხდება სიტყვის დამკვიდრება ბავშვის ენობრივ სამყაროში.

მხატვრულ სახეებზე მუშაობა

V-VI კლასის მოსწავლეებისთვის დამახასიათებელია ლიტერატურისადმი გულუბრყვილო-რეალისტური მიდგომა, რაც შემდგომაც საკმაოდ დიდხანს გრძელდება.

სიტყვის სიმბოლური და მეტაფორული მნიშვნელობის წვდომა თანდათანობით ხდება. ამგვარ მუშაობას ხანდახან მთელი გაკვეთილიც შეიძლება დაეთმოს. მნიშვნელოვანია, რომ მოწაფეებმა გაიგონ ორი რამ: სიტყვა მხატვრულ ტექსტში ყოველთვის არ უტოლდება მის სალექსიკონო მნიშვნელობას და რომ ლიტერატურა აზროვნებს სახეებით და საუბრობს სიმბოლური ენით.

მხატვრულ სახეებზე მუშაობისას შესაძლებელია შემეგი აქტივობების გამოყენება:

I **აქტივობა**

- მასწავლებელი გაკვეთილზე კითხულობს ლექსს სათაურის დაუსახელებლად (ვთქვათ, გალაკტიონ ტაბიძის „ცელი კივის“), შემდეგ სთხოვს მოწაფეებს, დაასათაურონ იგი. შემოთავაზებული სათაურები იწერება დაფაზე;
- კლასში გაიმართება მსჯელობა, რატომ დაასათაურა ამა თუ იმ მოსწავლემ ლექსი ამგვარად;
- შემდეგ მასწავლებელი ასახელებს ლექსის ავტორსა და სათაურს;
- მოწაფეები მსჯელობენ, ვისი ვარიანტი იყო უფრო მიახლოებული ავტორისეულთან და რატომ დაასათაურა პოეტმა ეს ლექსი ასე.

II **აქტივობა**

- ავტორის მოუხსენიებლად მასწავლებელი დაფაზე წერს სტრიქონებს, რომლებშიც არის მხატვრული სახეები (მაგალითად: „ფეხაკრეფილი გადარბის წვიმა და ძლივს, ტაატით მიფრინავს კვამლი“);
- მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: როგორ ფიქრობთ, რა არის ეს? რას გვამცნობს პოეტი? - პასუხები იწერება დაფაზე;
- მასწავლებელი კითხულობს ლექსს სრულად, შემდეგ გადახაზავს არასწორ პასუხებს, ტოვებს მიახლოებულ ვარიანტებს:

მინდორში დარჩა ზვინები თივის,
მდინარის პირას – ნახირის კვალი.
ფეხაკრეფილი გადარბის წვიმა

და ძლივს, ტაატით მიფრინავს კვამლი.

მობრუნებული მინდვრიდან ქარი

მთვრალი კაცივით აწვება ღობეს...

გადაურაზავს ქარისთვის კარი

და მშვიდად სძინავს დაქანცულ სოფელს.

ოთარ ჭილაძე - მინდორში დარჩა...

- ლექსის წაკითხვის შემდეგ მიმართავს კლასს შემდეგი კითხვებით:

როგორ განმარტავენ ხოლმე მეცნიერები რაიმე ტერმინს ან მოვლენას? (თვალსაჩინოებისთვის შესაძლებელია წავუკითხოთ სტატია პოეზიის შესახებ განმარტებითი ან ლიტმცოდნეობის ტერმინთა ლექსიკონიდან).

რით განსხვავდება საგნის ან მოვლენის მეცნიერული დახასიათება/განმარტება პოეტურისაგან?

მოსწავლეები საუბრობენ იმის შესახებ, რომ პოეტური განმარტება (განსაზღვრა რაღაცის) გამოცანასავითაა, რომ იგი ლოგიკას არ ექვემდებარება, ასოციაციურია, მასში არაა სიზუსტე, სწორხაზოვნება, რაც ახასიათებს მეცნიერულ განმარტებას. რომ პოეტური მეტყველება იმით განსხვავდება სამეცნიეროსგან, რომ იგი სახეობრივია. და რა არის სახე/ხატი?

შესაძლებელია მოსწავლეებს შევთავაზოთ, გაიხსენონ სიტყვები, რომელთა ფუძეშიც შედის სიტყვა ხატი. როგორ იბადება სახე/ხატი?

III **აქტივობა**

- რომელიმე ლექსის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი მის აღსაქმელად და გასააზრებლად სვამს კითხვებს:

რა ცხოვრებისეულ საფუძველს ეყრდნობა ეს სახეები?

რას გამოხატავს პოეტი? რითია უჩვეულო სამყაროს მისეული აღქმა? როგორ უკავშირდება ცხოვრება და პოეტური სახე?

- მოსწავლეები ამ კითხვებზე დაფიქრებით დაასკვნიან, რომ მხატვრული სახე ესაა მწერლის მიურ აღქმული სამყარო, საგნებისა და მოვლენების იმგვარად გამოხატვა, როგორც ხედავს მათ ავტორი.

IV **აქტივობა**

მხატვრული სახის ბუნების გასაგებად ვთავაზობთ ასეთ სამუშაოს:

- მასწავლებელი სვამს კითხვას: თუ მე ვიტყვი სიტყვას ხე, იქნება ეს სახე? რა არის საჭირო იმისათვის, რომ იგი იქცეს მხატვრულ სახედ? რა წამოდგენებს (შთაბეჭდილებებს) იწვევს თქვენში სიტყვათშეთანხმება „ზურმუხტისფერი ხე“, შეიძლება თუ არა მას ვუწოდოთ სახე?

მოსწავლეები მიხვდებიან: იმისათვის, რომ სიტყვა იქცეს მხატვრულ სახედ, საჭიროა სხვა სიტყვასთან მისი შეხამება, ისეთთან, რომელიც გადმოგვცემს, როგორ ხედავს ავტორი საგანს/მოვლენას, რა დამოკიდებულება აქვს, რას გრძნობს. მნიშვნელოვანია, რომ ეს სიტყვათა შეთანხმება იყოს უჩვეულო. თუმცა მხოლოდ ეს არ კმარა იმისათვის, რომ ავტორის დამოკიდებულება სრულად გამოიხატოს, საჭიროა ასევე კონტექსტი.

V **აქტივობა**

- მასწავლებელი (ასახსნელი ტექსტიდან) დაფაზე წერს სიტყვას (საგანს ან მოვლენას) და მოსწავლეებს სთხოვს, შეურჩიონ მას ეპითეტი, მეტაფორა, შეადარონ სხვა საგანს ან მოვლენას რაიმე ნიშნით; შერჩეული მხატვრული სახე უნდა გამოხატავდეს მოწაფის დამოკიდებულებას საგნისა ან მოვლენისადმი, მისეულ ხატს უნდა წარმოადგენდეს.
- შემდეგ მასწავლებელი კითხულობს ტექსტს, რომელშიც ამ საგანზე თუ მოვლენაზეა საუბარი.
- შემდგომ მუშავდება კითხვარი (სახელმძღვანელოში ტექსტის შემდეგ მოცემული), რომელიც ზოგადად ამ ტიპისაა:

ჩამოთვლილი სიტყვებიდან რომელი გამოხატავს ლექსის განწყობას?

როგორ წაიკითხავდით ამ ლექსს: მშვიდად, წყნარად თუ ომახიანად, ნელა თუ ჩქარა? რატომ?

რა სურათები წარმოგიდგებათ ამ ლექსის კითხვისას?

რით განსხვავდება თითოეულ სტროფში წარმოდგენილი სივრცე?

რატომ შეადარა პოეტმა ეს საგანი/მოვლენა მეორეს?

იპოვეთ და ახსენით მეტაფორები ამ ლექსში. რა არის მისი არსი?

როგორია თქვენი წარმოდგენაში ამ ლექსის ავტორი და მისთ.

ამ უკანასკნელ კითხვას მივყავართ პოეტის პიროვნებამდე, რომლის შესახებაც მასწავლებელი შესაძლოა საინტერესო რაიმეს მოუყვეს ან წაუკითხოს.

VI **აქტივობა**

- მასწავლებელი მოწაფეებს აძლევს ლექსს, რომელშიც გამოტოვებულია სიტყვები (მხატვრული სახეები). მოსწავლეებს ევალებათ, ჩასვან ეს სიტყვები;
- განიხილება თითოეული შემოთავაზება მოწაფეებისგან.
- შემდეგ ურიდგებათ ტექსტი და ადარებენ თავიანთ სახეებს და მწერლისეულს.

VII **აქტივობა**

- მასწავლებელი აძლევს წყვილებში სამუშაოდ: ერთმა მოწაფემ უნდა დაწეროს არსებითი სახელი, მეორემ - ზედართავი, ერთმანეთს არ უჩვენებენ (ზედსართავები არ უნდა იყოს მარტივი - კარგი-ცუდის ტიპის). რასაკვირველია, ეს გამოვა უაზრო სიტყვათშეთანხმება.
- შემდეგი თხოვნაა, ჩასვან ეს სიტყვათშეთანხმება წინადადებაში ან პატარა ტექსტში ისე, რომ გაამართლონ მისი არსებობა, როგორც პოეტური სახისა.
- მაგალითები განიხილება კლასში.

ამგვარი დავალება არყევს გონებაში ჩაჭედილ, დამახსოვრებულ სიტყვათა ლექსიკურ მნიშვნელობას, აღვიძებს ფანტაზიას და ავითარებს ენობრივ დაკვირვებულობას.

VIII **აქტივობა**

- ამჯერად მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს მხატვრული სახის შეგნებულად შექმნას: დაფაზე წერს სიტყვას და კითხვას (ფრჩხილებში), რომელზე პასუხიც სხვა სიტყვებთან დასაკავშირებლად არის საჭირო.
- მოწაფეებმა შეძლებისდაგვარად ორიგინალური სიტყვათშეთანხებები უნდა მოიფიქრონ. მაგალითად:

ზამთარი (როგორი) ბებერი, საზიზღარი, ცეცხლოვანი, მარტოსული, ვერცხლის..

თოვლი (რას შვრება?) იფურთხება, ოცნებობს, სძინავს.

გიყვარდეს (როგორ?) ნერვიულად, ღვთიურად, სტანდარტულად, მძვინვარედ..

გამოხატვა (ვისი/რისი?) მზის, სიკვდილის, არავისი, ბედის, სიცარიელის..

პოეზია, შენიშავს მასწავლებელი, არაა მხოლოდ პოეტური სახეების კრებული/გროვა. მნიშვნელოვანია, როგორ არის ისინი დაკავშირებული ერთმანეთთან მთელ ლექსში, როგორაა „მომზადებული“ ესა თუ ის მხატვრული სახე, მნიშვნელოვანია, ბოლოს და ბოლოს, ლექსის არქიტექტურა, მისი კომპოზიცია. რა მხატვრული სახეებია, რა ფუნქციით გამოიყენა ისინი მწერალმა, რა აისახა ლექსში, როგორი განწყობაა, როგორი გრძნობა ჩნდება?

ამგვარი სამუშაოს ჩატარების შემდეგ საშინაო დავალებად შეიძლება მოსწავლეებს მიეცეთ: ტექსტის შექმნა, კერძოდ: ლექსის, ვერლიბრის და სხვ. გაკვეთილიდან გაკვეთილამდე ვაღრმავებთ მოსწავლეებში ტექსტების მხატვრულ მხარეზე წარმოდგენას და თეორიიდან მას ვაქცევთ მოსწავლის კუთვნილებად; ამ საკითხს დაძლეულად მოლოდ მაშინ მივიჩნევთ, როდესაც მის ნაწერებში გაჩნდება მეტაფორა და სიმბოლო.

ამგვარად იწყება მოსწავლეებში სიტყვების განთავისუფლება მისი შინაარსობრივი ბორკილებისაგან (ანუ მოწაფეები ხვდებიან, რომ სიტყვას შეიძლება ჰქონდეს სხვა მნიშვნელობებიც, მაგალითად, გადატანითი).

შაბლონისგან ეს გათავისუფლება მოსწავლეებს საშუალებას აძლევს არა მხოლოდ შექმნან ორიგინალური თხზულებანი, არამედ ისინი იზრდებიან მადლიერ მკითხველებად, რომელთაც აქვთ მხატვრული გემოვნება და სიტყვის სიყვარული.